

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების

სტრატეგიის

სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში (2017 წ.)

შესავალი

საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია (2016-2020 წლებისთვის) და სამოქმედო გეგმა (2016-2017 წლებისთვის), რომელიც შემუშავდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კოორდინაციით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD) მჭიდრო თანამშრომლობით და GIZ-ის მხარდაჭერით, მიღებულ იქნა 2016 წლის 26 თებერვალს საქართველოს მთავრობის დადგენილებით (საქართველოს მთავრობის დადგენილება N100; 26.02.2016). სტრატეგიის პროექტი განხილულ იქნა OECD-ის ევრაზიის კვირეულის ფარგლებში ჩატარებული ევრაზიის კონკურენტუნარიანობის მრგვალი მაგიდის ფორმატში (2015 წლის 25 ნოემბერი).

სტრატეგიაში გათვალისწინებულია ევროპული მცირე ბიზნესის აქტის ძირითადი პრინციპები და ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის კუთხით. სტრატეგია მოიცავს შემდეგ 5 ძირითად - სტრატეგიულ მიმართულებას და მათი განხორციელების შესაბამის ღონისძიებებს.

სტრატეგიული მიმართულებები:

1. საკანონმდებლო, ინსტიტუციური ბიზნეს გარემოს შემდგომი გაუმჯობესება
2. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება
3. კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის, სამეწარმეო უნარების და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის განვითარება
4. ექსპორტის წახალისება და მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია
5. ინოვაციების და კვლევისა და განვითარების (R&D) მხარდაჭერა.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის თანახმად, თითოეული სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 2016-2017 წლებისთვის დაგეგმილ დეტალურ ქმედებებს, რომელთა განხორციელება მნიშვნელოვანია პრიორიტეტული ღონისძიებების შესასრულებლად და შესაბამისად, სტრატეგიული მიმართულებებით დასახული მიზნების მისაღწევად. კერძოდ, **2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს 5 სტრატეგიულ მიმართულებას, 33 პრიორიტეტულ ღონისძიებას და 123 ქმედებას.** მათ შორის:

- ✓ პირველი სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 6 პრიორიტეტულ ღონისძიებას და 22 ქმედებას.
- ✓ მეორე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 6 პრიორიტეტულ ღონისძიებას და 17 ქმედებას.
- ✓ მესამე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 10 პრიორიტეტულ ღონისძიებას და 34 ქმედებას.
- ✓ მეოთხე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 6 პრიორიტეტულ ღონისძიებას და 27 ქმედებას.
- ✓ მეხუთე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 5 პრიორიტეტულ ღონისძიებას და 23 ქმედებას.

აღნიშნულიდან, **მხოლოდ 2017 წელზე** განსაზღვრულ ქმედებათა რაოდენობა ჯამში 64-ს შეადგენს და სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით შემდეგი სახით ყალიბდება:

- ✓ პირველი სტრატეგიული მიმართულება - 8 ქმედება.
- ✓ მეორე სტრატეგიული მიმართულება - 10 ქმედება.
- ✓ მესამე სტრატეგიული მიმართულება - 22 ქმედება.
- ✓ მეოთხე სტრატეგიული მიმართულება - 12 ქმედება.
- ✓ მეხუთე სტრატეგიული მიმართულება - 12 ქმედება.

სამოქმედო გეგმით 2017 წელს განსაზღვრულ აქტივობათა შესრულების მონიტორინგი

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის (2016-2020 წწ) და სტრატეგიის სამოქმედო გეგმის (2016-2017 წწ) მიღების შემდეგ, მისი შესრულების მონიტორინგის განხორციელების მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით შეიქმნა მაღალი დონის **საკოორდინაციო ჯგუფი** (მინისტრის ხელმძღვანელობით) და შესაბამისი **სამუშაო ჯგუფი** (მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით) (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება N1-1/372, 11.07.2016 წ.).

სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ შემუშავდა სპეციალური ფორმა, რომლის შესაბამისად ხორციელდება სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების მონიტორინგი და შეფასება.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №628 (დადგენილება N628; 30.12.2016), რომელიც ეხება მთავრობის საქმიანობის მონიტორინგს, ანგარიშგებისა და შეფასების სისტემების დამტკიცებას, ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების სისტემაში

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს - შესრულების ინდიკატორს. სწორედ, მიზნების მიღწევა ეფუძნება შედეგების მიღწევას სამიზნე მაჩვენებლებთან მიმართებაში, რაც იზომება შესრულების ინდიკატორებით.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის (2016-2017 წწ) სამოქმედო გეგმა მოიცავს შესაბამის შესრულების ინდიკატორებს, რომელიც არის ერთგვარი საზომი, რომლის საშუალებითაც ფასდება მიღწეულია თუ არა მიზანი, ან, ზოგიერთ შემთხვევაში, შესრულებულია თუ არა აქტივობა. შესრულების ინდიკატორი რაოდენობრივ ინსტრუმენტს წარმოადგენს და ინდიკატორით ფასდება ამოცანის შესრულება ან ღონისძიების ხარისხი. სტრატეგიის სამოქმედო გეგმა მოიცავს ჯამში - 72 ინდიკატორს. სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით ინდიკატორები შემდეგნაირად ნაწილდება:

- ✓ პირველი სტრატეგიული მიმართულება - 13 ინდიკატორი;
- ✓ მეორე სტრატეგიული მიმართულება - 10 ინდიკატორი;
- ✓ მესამე სტრატეგიული მიმართულება - 26 ინდიკატორი;
- ✓ მეოთხე სტრატეგიული მიმართულება - 9 ინდიკატორი;
- ✓ მეხუთე სტრატეგიული მიმართულება - 14 ინდიკატორი.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის 2017 წლის ქმედებები გაწერილია თითოეული სტრატეგიული მიმართულების პრიორიტეტულ ღონისძიებებში და მდგომარეობს შემდეგში:

➤ **პირველი სტრატეგიული მიმართულება: სამართლებრივი, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება.**

- პირველი პრიორიტეტი: ბიზნესის დახურვის და გადახდისუუნარობის პროცედურების გაუმჯობესება.

აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულება ხორციელდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ. დღეის მდგომარეობით, მიღებულია „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში დაგეგმილი ცვლილებები საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის 4 მაისის N759 კანონით. ასევე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ განხორციელდა მუშაობა გადახდისუუნარობის სფეროში ახალი კანონის პროექტის მომზადების კუთხით. ამ

მიზნით შექმნილია წარმომადგენლობითი სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩართულნი არიან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლებიც. პროექტზე მუშაობა წარიმართა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) თანამშრომლობის ფარგლებში. ამ ეტაპისთვის, შემუშავებულია „გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის პირველადი ვერსია.

- მესამე პრიორიტეტი: საწარმოთა სტატისტიკის გაუმჯობესება.

აღნიშნული პრიორიტეტი გულისხმობს 2017 წლის განმავლობაში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ საწარმოთა სტატისტიკის გაუმჯობესებას. ამ კუთხით შემუშავებულია რეკომენდაციები საწარმოთა სტატისტიკის არეალის გაფართოებისთვის. აღნიშნულ აქტივობათა შედეგად, ახალი გამოკვლევების ჩატარების გზით, გაფართოვდა საწარმოთა სტატისტიკის არეალი და განხორციელდა სტატისტიკის გამოქვეყნება საქსტატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის I კვარტლიდან საწარმოთა სტატისტიკური მაჩვენებლები ქვეყნდება საწარმოთა ზომის განსაზღვრის იმ ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც დაახლოებულია ევროპულ სტანდარტებთან. იმავე 2017 წლის I კვარტლიდან, საწარმოთა სტატისტიკური მაჩვენებლების გამოქვეყნება ხორციელდება ეკონომიკური საქმიანობის სახეების ახალი კლასიფიკატორის - NACE Rev 2-ის მიხედვითაც. ზოგადად, საწარმოთა სტატისტიკის გაუმჯობესების პროცესი კვლავ გაგრძელდება მომავალშიც.

- მეოთხე პრიორიტეტი: მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერება.

აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულება განხორციელდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მის სისტემაში შემავალ სააგენტოებთან (სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“ და „აწარმოე საქართველოში“) მჭიდრო თანამშრომლობით.

პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში განხორციელდა შეხვედრები მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდამჭერი ინსტიტუტების მონაწილეობით.

მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით იდენტიფიცირებული საჭიროებების საფუძველზე შემუშავდა შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტები და წარედგინა საქართველოს მთავრობას, სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“-ს რეორგანიზაციის საფუძველზე შეიქმნა

სსიპ „აწარმოე საქართველოში“. შედეგად, დაინერგა მცირე და საშუალო მეწარმეობის საჭიროებებზე მორგებული სერვისები.

2016 წელს დაიწყო და 2017 წელს გაგრძელდა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდამჭერი საგრანტო კომპონენტი. შესაბამისად განხორციელდა შეხვედრები პროექტის კონტრაქტორებთან. მათგან მიღებულ იქნა ინფორმაცია იმ ძირითად პრობლემებზე, რაც პროექტის განხორციელების 2015-2016 წლების ეტაპებზე შეექმნათ. შევიდა გარკვეული ცვლილებები პროექტის ადმინისტრირებისა და უფრო ეფექტურად წარმართვის მიზნით. ასევე განისაზღვრა ბიზნეს გეგმის შეფასების დამატებითი კრიტერიუმები, პრიორიტეტულობის მიხედვით. ასევე, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით, საკონსულტაციო კომპანია დელოიტის მიერ, განხორციელდა სააგენტოს საქმიანობის შეფასება, შემუშავდა რეკომენდაციები. პარალელურად, განხორციელდა შემდეგი ქვეყნების საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა: აშშ, ჩინეთი, გერმანია, ესტონეთი, ისრაელი, დიდი ბრიტანეთი, კორეა და ჰოლანდია.

- მეხუთე პრიორიტეტი: საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერება

კერძო სექტორის ხელშეწყობის და სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, შექმნილია საკონსულტაციო საბჭო, როგორც კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგის პლატფორმა. 2017 წელს, საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში, სამთავრობო, არასამთავრობო და ბიზნესის წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით **ორი შეხვედრა** ჩატარდა; ხორციელდება კერძო სექტორის მხრიდან დასმული საკითხების/პრობლემების შემდგომი შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება. ასევე, ხორციელდება კერძო სექტორის ინფორმირება დაგეგმილი და მიმდინარე რეფორმებთან მიმართებით.

- მეექვსე პრიორიტეტი: პრიორიტეტული ეკონომიკური კანონმდებლობისთვის რეგულირების გავლენის შეფასების RIA-ს სისტემის შექმნა.

2017 წლის მდგომარეობით შემუშავებულია RIA-ს ინსტიტუციური მექანიზმი და მომზადებულია საკანონმდებლო ჩარჩო დოკუმენტი საქართველოს მთავრობის მიერ. ასევე, შემუშავებულია რეგულირების გავლენის შეფასების კონცეფციის დოკუმენტი და ხარჯისა და სარგებლის ანალიზის ტექნიკური სახელმძღვანელო.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლინდა:

პირველი სტრატეგიული მიმართულება ჯამში მოიცავს 6 პრიორიტეტს და 22 ქმედებას. აქედან, 2016 წელს შესრულდა 1 პრიორიტეტული ღონისძიება, ხოლო 2017 წელს 5 პრიორიტეტული ღონისძიება.

2017 წელს შესრულდა, პირველი სტრატეგიული მიმართულების, შესაბამისი „შესრულების ინდიკატორები“. კერძოდ:

- ✓ შემუშავდა საქართველოს კანონის პროექტი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“;
- ✓ გაფართოვდა საწარმოთა სტატისტიკის არეალი და განხორციელდა სტატისტიკის გამოქვეყნება.
- ✓ დაინერგა მცირე და საშუალო მეწარმეობის საჭიროებებზე მორგებული სერვისები;
- ✓ განხორციელდა შეხვედრები მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდამჭერ ინსტიტუტებს შორის;
- ✓ ჩატარდა კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრები.
- ✓ შემუშავდა RIA-ს ინსტიტუციური მექანიზმი და საკანონმდებლო ჩარჩო დოკუმენტი.

➤ მეორე სტრატეგიული მიმართულება: „ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება“

- პირველი პრიორიტეტი: ფინანსური განათლების გაუმჯობესება.

აღნიშნულ ღონისძიებას ახორციელებს სსიპ „აწარმოე საქართველოში“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს ეროვნული ბანკი. 2016-2017 წლებში, „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებზე ტრენინგები ჩატარდა 11 456-მდე ბენეფიციარს, მათ შორის 2016 წელს დატრენინგდა 5762 ბენეფიციარი, ხოლო 2017 წელს - 5694 ბენეფიციარი. ტრენინგები მოიცავდა, როგორც ბიზნეს გეგმის შედგენასთან, ასევე ბიზნეს ადმინისტრირებასთან და ფინანსებთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამის ასპექტებს.

- მეორე პრიორიტეტი: მცირე და საშუალო საწარმოთა ხელშეწყობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SME) დანერგვაში.

აღნიშნულ აქტივობებს ახორციელებს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური. 2017 წლის განმავლობაში მომზადდა IFRS for SME-ის ცნობიერების ამაღლების მასალა და ჩატარდა IFRS for SME-ის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები. ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები ჩატარდა როგორც კერძო ასევე საჯარო სექტორთან თანამშრომლობით. სულ ჩატარდა 12 ტრენინგი, მათ შორის:

- 5 ღონისძიება - საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაციასთან (GSMEA);
- 2 ღონისძიება - ფასს ფონდთან (IFRS Foundation) და მსოფლიო ბანკთან.
- 2 ღონისძიება - ორ უმსხვილეს ბანკთან;
- 1 ღონისძიება - საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიულ ფედერაციასთან (GFAAFM);
- 2 ღონისძიება - სავაჭრო სამრეწველო პალატასთან ერთად ჩატარდა რეგიონში, კერძოდ ქუთაისსა და ბათუმში;

ამ ღონისძიებებზე ჯამურად დაესწრო 1200-ზე მეტი მეწარმე, რომლებიც წარმოადგენდნენ მოცემული სექტორის 900-ზე მეტ საწარმოს.

- მესამე პრიორიტეტი: მცირე და საშუალო მეწარმეთა ცოდნის ამაღლება ფინანსების გაზრდის (fund raising) საკითხებში.

აღნიშნული ღონისძიების განმახორციელებელია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, ხოლო პარტნიორები არიან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სსიპ “აწარმოე საქართველოში“.

2016-2017 წლების განმავლობაში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები მეწარმეთათვის ფინანსების გაზრდის (fund raising) საკითხებში და ბიზნეს ინკუბატორის 19 გუნდის მონაწილეებისთვის ჩატარდა ტრენინგები ფონდების მოძიების თემატიკაზე. კერძოდ 2016 წელს ჩატარდა 2 ტრენინგი და 2 სამუშაო შეხვედრა აღნიშნული მიმართულებით, ხოლო 2017 წელს - 1 ტრენინგი და 1 საყოველთაო და 13 ინდივიდუალური სამუშაო შეხვედრა.

- მეოთხე პრიორიტეტი: მცირე და საშუალო მეწარმეობის და დამწყები ბიზნესის (start-up) დაფინანსებაზე ორიენტირებული კერძო საინვესტიციო და ვენჩერული კაპიტალის ფონდების მოზიდვა.

2017 წლის განმავლობაში სააგენტოს მიერ მიმდინარეობდა სხვადასხვა სარისკო ფონდების იდენტიფიცირება და მათთან მოლაპარაკებების წარმოება. ამ ეტაპზე ყველაზე რელევანტური Seed-stage ვენჩურულ 2 ფონდთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები ისრაელის ვენჩურული ფონდი JVP და ასევე ისრაელის Frank Group, რომლებთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკება სამომავლო თანამშრომლობაზე. ამასთან, იდენტიფიცირებულია 10 სტარტაპი, რომელთაც გააჩნიათ საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის პოტენციალი. ამრიგად, იდენტიფიცირებულია ვენჩურული ფონდი სტარტაპებისთვის ალტერნატიული დაფინანსების მოძიების მიზნით და ასევე განხორციელდა სტარტაპების იდენტიფიცირება. აღნიშნული აქტივობის შემსრულებელია “საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო”, ხოლო პარტნიორები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სსიპ “აწარმოე საქართველოში“.

- მეხუთე პრიორიტეტი: მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა კომერციული ბანკებიდან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან დაფინანსების ზრდისთვის.

2017 წელს განხორციელდა მხარეებს შორის მრგვალი მაგიდები/დისკუსიები მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებაში არსებული დაბრკოლებების იდენტიფიცირებისთვის, მათი შემდგომი შემცირების მიზნით. 2016-2017 წელს ჩატარდა 5 მრგვალი მაგიდა/დისკუსია მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებაში არსებული დაბრკოლებების იდენტიფიცირებისთვის. აღნიშნულ შეხვედრებს დაესწრნენ ბენეფიციარები პლასტმასის, ქაღალდი და მუყაოს წარმოების და ფარმაცევტიკის სექტორებიდან. აღნიშნული პრიორიტეტის განმახორციელებელია სსიპ „აწარმოე საქართველოში“, ხოლო პარტნიორი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლინდა:

მეორე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 6 პრიორიტეტს და 17 ქმედებას. 2016 წელს განხორციელდა 1 პრიორიტეტული ღონისძიება, ხოლო 2017 წლის განმავლობაში განხორციელდა 5 პრიორიტეტული მიმართულება.

2017 წელს, შესრულდა მეორე სტრატეგიული მიმართულების შესაბამისი „შესრულების ინდიკატორები“. კერძოდ:

- ✓ ჩატარდა ტრენინგები მეწარმეთათვის;

- ✓ მომზადდა IFRS for SME-ის ცნობიერების ამაღლების ტრენინგის მოდული;
- ✓ ჩატარდა IFRS for SME-ის ცნობიერების ამაღლების 12 ტრენინგი;
- ✓ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები (1 ტრენინგი, 1 საყოველთაო და 13 ინდივიდუალური სამუშაო შეხვედრა) მეწარმეთათვის ფინანსების გაზრდის (fund raising) საკითხებში;
- ✓ იდენტიფიცირებულია 2 ვენჩურული ფონდი სტარტაპებისთვის ალტერნატიული დაფინანსების მოძიების მიზნით;
- ✓ განხორციელდა საინვესტიციო პოტენციალის მქონე 10 სტარტაპის იდენტიფიცირება;
- ✓ ჩატარდა მრგვალი მაგიდები/დისკუსიები მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსებაში არსებული დაბრკოლებების იდენტიფიცირებისთვის.

➤ მესამე სტრატეგიული მიმართულება: „კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის, სამეწარმეო უნარების და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის განვითარება“

- პირველი ქვე-პრიორიტეტი: შრომის ბაზრის საჭიროების იდენტიფიცირება და შესაბამისი დასაქმების პროგრამების განვითარება.

2016 წელს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა განხორციელდა 68 მოთხოვნად პროფესიიდან 35 პროფესიაში. საწყის ეტაპზე რეგისტრაცია გაიარა და ვაუჩერი გაიცა 2125 სამუშაოს მაძიებელზე. პროგრამაში ჩაერთო 1995 სამუშაოს მაძიებელი, სრული კურსი დაამთავრა 1804-მა. პროგრამის განხორციელების შედეგად სულ დასაქმდა 534 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის 14 შშმ პირი. სტაჟირების კომპონენტის ფარგლებში მონაწილეობდა 47 სამუშაოს მაძიებელი, აქედან 22 შშმ პირი. დასაქმდა 21 სამუშაოს მაძიებელი, მათგან-11 შშმ პირი. 2016 წელს აღნიშნული აქტივობების შედეგად სულ დასაქმებულია 555 სამუშაოს მაძიებელი, მათგან -25 შშმ პირი. შრომის ბაზარზე ქვევის წესების გაცნობის მიზნით, 2016 წელს ინდივიდუალური კონსულტაცია გაეწია 3072 სამუშაოს მაძიებელს, მათ შორის, შშმ პირი - 78; ხოლო, ჯგუფური კონსულტაცია გაეწია 1277 სამუშაოს მაძიებელს, მათ შორის, ქალი - 650; პრობაციონერი - 9; შშმპ-4; დევნილი - 450. 2016 წელს განხორციელებული აქტივობების შედეგად სულ დასაქმებულია 1020 სამუშაოს მაძიებელი:

აქედან: საშუამავლო მომსახურების ფარგლებში - 216; დასაქმების ფორუმების ფარგლებში - 238; მხარდაჭერით დასაქმების ფარგლებში - 11 შშმ პირი; სტაჟირების კომპონენტის ფარგლებში - 21; მომზადება-გადამზადების პროგრამის ფარგლებში - 534;

2017 წელს ჩატარდა შრომის ბაზრის თვისობრივი კვლევა. აღნიშნული ქმედება განახორციელა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

2017 წელს პროფესიული მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამა განხორციელდა ორ ეტაპად, პირველ ეტაპზე 40 მოთხოვნად პროფესიაში, რეგისტრაციის პროცესი გაიარა 1047 სამუშაოს მაძიებელმა, სასწავლო პროცესში ჩაერთო 990 ბენეფიციარი, 34 მოთხოვნად პროფესიაზე (58 იძულებით გადაადგილებული პირი, 266 სოციალურად დაუცველი პირი, 6 პრობაციონერი, 28 შშმ პირი), სწავლების პროცესი დაასრულა და სერთიფიკატი გადაეცა 920 კურსდამთავრებულს. ხოლო მეორე ეტაპზე 43 პროფესიაზე, რეგისტრაციის პროცესი გაიარა 1313 სამუშაოს მაძიებელმა, სასწავლო პროცესში ჩაერთო 1300 ბენეფიციარი, 40 მოთხოვნად პროფესიაზე (101 იძულებით გადაადგილებული პირი, 332 სოციალურად დაუცველი, 3 პრობაციონერი, 6 ყოფილი პატიმარი და 46 შშმ პირი), სწავლების პროცესი დაასრულა და სერთიფიკატი გადაეცა 1210 კურსდამთავრებულს. ორივე ეტაპზე პროგრამაში სრული კურსით მონაწილეობა მიიღო და სერთიფიკატი გადაეცა **2 130** სამუშაოს მაძიებელს, რომელთაგან 2018 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით დასაქმებულია **533** სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის 7 შშმ პირი.

შრომის ბაზარზე ქცევის წესების გაცნობის მიზნით, 2017 წელს ინდივიდუალური კონსულტაცია გაეწია 5187 სამუშაოს მაძიებელს, მათ შორის, შშმ პირი - 142; ხოლო, ჯგუფური კონსულტაცია გაეწია 1046 სამუშაოს მაძიებელს, მათ შორის, ქალი - 814; შშმპ - 9; დევნილი - 140.

2017 წელს (2018 წლის თებერვლის მდგომარეობით), განხორციელებული აქტივობების შედეგად სულ დასაქმებულია **1 778** სამუშაოს მაძიებელი, აქედან: საშუამავლო მომსახურების ფარგლებში - 399; დასაქმების ფორუმების ფარგლებში - 731; მხარდაჭერითი დასაქმების ფარგლებში - 42 შშმ პირი; სუბსიდირების კომპონენტში ჩაერთო 23 დამსაქმებელი და 53 შშმ პირი, რომელთაგან დასაქმდა 22 შშმ პირი. სტაჟირების კომპონენტის ფარგლებში დასაქმდა 37 პირი, მათ შორის 5 შშმ პირი. მომზადება-გადამზადების პროგრამის ფარგლებში დასაქმდა - 533 პირი, მათ შორის 7 შშმ პირი. პარტნიორი ორგანიზაციის პროექტის ფარგლებში დასაქმდა - 14 სამუშაოს მაძიებელი.

- მეორე პრიორიტეტი: მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგების საჭიროებათა შეფასება (Training Needs Assessment - TNA).

2017 წლის განმავლობაში განხორციელდა TNA-ს შედეგების ანალიზი და ინსტრუმენტების გაუმჯობესება, შემუშავდა TNA კონცეფცია და შესაბამისი მექანიზმები. საანგარიშო პერიოდში, ETF-ის მოწვეულმა ექსპერტმა და სსიპ „აწარმოე საქართველოში“ დაიწყო TNA-ზე დაფუძნებული შემდგომი პროექტის განხორციელება **სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულებით.**

- მესამე პრიორიტეტი: უწყვეტი სამეწარმეო სწავლების (LLEL) დანერგვა განათლების სისტემის ყველა დონეზე.

შემუშავებულ იქნა განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, სამოქმედო გეგმები და ლოგიკური ჩარჩო, რომელშიც განათლების ყველა საფეხურზე, დაწყებული სკოლამდელი განათლებიდან, გათვალისწინებულია **სამეწარმეო სწავლების კომპონენტები**, ცალკეული აქტივობების სახით. დოკუმენტების პაკეტი წარდგენილია საქართველოს მთავრობაში დასამტკიცებლად. განათლების სისტემაში LLEL-ის დანერგვის მიზნით შექმნილია უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრებიც ჩართული იყვნენ ზემოაღნიშნული ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში შექმნილ თემატურ ჯგუფებში, LLEL-ის საკითხების სტრატეგიულ დოკუმენტსა და სამოქმედო გეგმაში სათანადოდ ასახვის უზრუნველყოფის მიზნით.

პროფესიული განათლების მიმართულებით სამეწარმეო სწავლების კუთხით განხორციელდა არაერთი აქტივობა: **მეწარმეობის მოდულის სწავლება გახდა სავალდებულო ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის**. განხორციელდა მეწარმეობის მოდულის განახლება და მეწარმეობის მოდულის მასწავლებლების ტრენინგი. განხორციელდა მეწარმეობის ტრენერთა ტრენინგი. 14 სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამრეწველო ინოვაციური ლაბორატორიები (ფაბლაბები), რაც სტუდენტებს ეხმარება სამეწარმეო იდეების განხორციელებაში. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან პარტნიორობით მოეწყო პროფესიული განათლების „ჰაკათონი“ და „ბუსტერი“.

- მეოთხე პრიორიტეტი: მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება.

პროფესიულ განათლებასა და შრომის ბაზარს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, მეწარმეთა მონაწილეობით შემუშავდა/გადაამუშავდა 100-ზე მეტი პროფესიული სტანდარტი. 2017 წელს **მეწარმეთა ჩართულობით** მომზადდა 44 მოდულური პროფესიული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი და დამტკიცდა 17. დაინერგა პროგრამები სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პრინციპით სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის მიმართულებით, არსებულ 3 პროგრამას სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პრინციპით 2017 წელს დაემატა 4 პროგრამა. სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებასთან დაკავშირებით ჩატარდა ტრენინგები მასწავლებლებისა და დამსაქმებელთათვის. კერძო სექტორის წარმადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართულები პროფესიული განათლების ყველა დონეზე (ეროვნული პროფესიული საბჭო, დარგობრივი საბჭოები, სამეთვალყურეო საბჭოები კოლეჯების დონეზე). სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებასთან დაკავშირებით, მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლის მიზნით, განვითარდა ფორუმი/პლატფორმა - „პარტნიორობა ცოდნისთვის“ (Knowledge Partnership). აღნიშნულ ქმედებებს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, დარგობრივ უწყებებთან პარტნიორობით.

- მეექვსე პრიორიტეტი: მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის ტექნიკური დახმარების (TA) უზრუნველყოფა.

აღნიშნული გულისხმობს ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფას სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, პარტნიორებთან თანამშრომლობით ტრენინგ-პროგრამების შემუშავებას, ექსპორტის მენეჯერების კურსების განხორციელებას საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით და EFQM – წარმატების მოდელის პოპულარიზაციას. მიმდინარე წელს განხორციელდა ტექნიკური დახმარება სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში და ასევე, განხორციელდა აქტივობები EFQM – წარმატების მოდელის პოპულარიზაციის მიზნით. საანგარიშო პერიოდში (2016-2017წწ) აწარმოე საქართველოში პროგრამის 12,000 - მდე ბენეფიციარმა ისარგებლა ტრენინგებით ზოგად მეწარმეობაში, ბიზნესის ადმინისტრირებასა და საგადასახადო საქმეში. საერთო ჯამში, 2015-2017 წლებში კი ტექნიკური მხარდაჭერა გაეწია 15,000 - მდე ბენეფიციარს. დღემდე გადამზადებულია 75 ექსპორტის მენეჯერი ექსპორტის მენეჯერის ტრენინგების ორგანიზების გზით. ასევე განხორციელდა ტექნიკური მხარდაჭერი პროგრამები ექსპორტიორი კომპანიებისთვის, კონკრეტულად ბიზნეს კონსულტაციების, მორგებული ტრენინგების, სერტიფიცირების და სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის გზით. აღნიშნულის შემსრულებელია სსიპ „აწარმოე საქართველოში“.

2016 წელს, აწარმოე საქართველოს ინდუსტრიული მიმართულების ფარგლებში, აწარმოე საქართველოს ექვსმა ბენეფიციარმა კომპანიამ ისარგებლა ტექნიკური დახმარების (TA) უზრუნველყოფის კუთხით, ხოლო 2017 წელს ხუთმა კომპანიამ.

- მერვე პრიორიტეტი: მეწარმეების მომსახურების ცენტრის მომსახურებების პორტფელის გაფართოება.

2017 წელს მეწარმეების მომსახურების ცენტრში განხორციელდა მეწარმეთათვის გაწეული სერვისების გაწევა, ჩატარდა ლექციები/სემინარები და აქტიურად მიმდინარეობდა კონსულტაციების გაწევა დაინტერესებულ მხარეებთან. "აწარმოე საქართველოში" სააგენტოს ფარგლებში სრული დატვირთვით ფუნქციონირებდა სერვის ცენტრი, რომელიც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აწვდიდა და აწვდის დეტალურ ინფორმაციას სახელმწიფო პროგრამების თაობაზე. სერვის ცენტრი 2017 წელს აქტიურად იყო ჩართული მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტში. გასცემდა ინფორმაციას პროექტის შესახებ და პოტენციურ ბენეფიციარებს ეხმარებოდა ბიზნეს იდეების დარეგისტრირების პროცესში. 2016 წელს დაინტერესებულ პირთა რაოდენობამ

შეადგინა 5900 ბენეფიციარი, ხოლო 2017 წელს – 9000 ბენეფიციარი. აღნიშნული პრიორიტეტული ღონისძიების შემსრულებელია სსიპ „აწარმოე საქართველოში“.

- მეცხრე პრიორიტეტი: ქალთა მეწარმეობის წახალისება.

2016-2017 წლებში „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“ ჩაერთო პროექტში "ქალთა გაძლიერება", რომლის 200-მდე მონაწილემ დაათვალიერა ტექნოპარკი და გაეცნო იმ შესაძლებლობებს, რასაც ქალ მეწარმეებს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო უქმნის. შემოქმედებითი ინდუსტრიების წახალისების მიზნით GITA-ს მხარდაჭერით ტექნოპარკში გაიმართა ერთკვირიანი ვორქშოპი/TOT „განაახლე უსარგებლო ნივთები ფაბლაბში“. პოლონელი სპეციალისტის მონაწილეობით **გადამზადდა 20 ქალი მეწარმე**, რომელთაც ფაბლაბის მაღალტექნოლოგიური დანადგარის საშუალებით სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები შექმნეს, გაყიდეს და დაიწყეს ბიზნეს საქმიანობა.

2016 - 2017 წლებში სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს მხრიდან აქტიურად ხდებოდა მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება, რომელშიც ქალ მეწარმეებს ენიჭებოდა განსაკუთრებული ყურადღება. 2017 წელს გამოცხადებული ახალი ეტაპის კრიტერიუმებში ქალ მეწარმეთა წახალისება კვლავაც პრიორიტეტულია. მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამაში ქალი მეწარმეები შეადგენდნენ მთლიანი რაოდენობის 40%-ს.

- მეათე ქვე-პრიორიტეტი: მცირე და საშუალო საწარმოებში „მწვანე პრაქტიკის“ წახალისება.

2017 წლის განმავლობაში შემუშავდა ტრენინგ პროგრამა რესურს ეფექტურ და სუფთა წარმოების საკითხებზე, გარემოსათვის მისაღებ ქმედებებთან დაკავშირებით ჩატარდა კონსულტაციები/შეხვედრები, დაკმაყოფილდა გარემოსდაცვითი მმართველის (მენეჯერის) კურსების გავლის მსურველებისგან მიღებული მოთხოვნები. აღნიშნული ქმედება განხორციელდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ მჭიდრო თანამშრომლობით სსიპ-გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან.

2017 წელს, რესურსეფექტურ (resource efficiency) და სუფთა წარმოებასთან (clean production) დაკავშირებით „გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის“

კოორდინაციით მომზადდა სახელმძღვანელო დოკუმენტი რესურს ეფექტურ და სუფთა წარმოებასთან დაკავშირებით და ჩატარდა ტრენინგი დაინტერესებული მხარეებისთვის.

გარემოსათვის მისაღებ ქმედებებთან (environmental performance) დაკავშირებით 2016-2017 წლის განმავლობაში 10 საწარმოში შეფასდა რესურს ეფექტური და სუფთა წარმოების შესაძლებლობები (პროცესი დაიწყო 2016 წელს და გაგრძელდა 2017 წლის დასაწყისში), კერძოდ:

- 2017 წელს 4 საწარმოსთვის მომზადდა საინვესტიციო გეგმა. ამასთანავე, 2017 წლის ოქტომბერში დაინტერესებულ პირებს ჩაუტარდათ ტრენინგი საინვესტიციო პროექტების ფინანსური ანალიზის საკითხებზე;
- 2017 წელს 4 სამუშაო შეხვედრა გაიმართა ქ. თბილისსა და რეგიონებში და ჯამში მონაწილეობა მიიღო 100-მდე მონაწილემ;
- 2017 წელს ჩატარდა 6 ტრენინგი და გადამზადდა ეროვნული ექსპერტები რესურს ეფექტური და სუფთა წარმოების საკითხებზე;

2016-2017 წლებში, მოხდა გარემოსდაცვითი მმართველის (მენეჯერის) კურსების განვითარება და განხორციელება მყარი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით. კერძოდ, აღნიშნულ კურსზე 2016 წელს სულ დარეგისტრირდა 261 მენეჯერი, აქედან დარეგისტრირებულთაგან უარი თქვა 28 მენეჯერმა. ჯამში ტრენინგი გაიარა 200 მენეჯერმა და მთლიანობაში დაკმაყოფილდა მოთხოვნის 85.8%). ხოლო 2017 წელს სულ დარეგისტრირდა 74 მენეჯერი, აქედან სასწავლო კურსში მონაწილეობაზე უარი განაცხადა 19 მენეჯერმა და ჯამში ტრენინგი გაიარა 42 მენეჯერმა (დაკმაყოფილდა მოთხოვნის 76,3 % და სულ დაკმაყოფილდა მოთხოვნის 84 %)

მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლინდა:

მესამე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 10 ქ პრიორიტეტს და ჯამში 34 ქმედებას. 2016 წელს განხორციელდა 2 პრიორიტეტული ღონისძიება, ხოლო 2017 წელი მოიცავდა 8 პრიორიტეტულ ღონისძიებას, რომლებიც შესრულებულია.

2017 წელს, შესრულდა მესამე სტრატეგიული მიმართულების შესაბამისი „შესრულების ინდიკატორები“. კერძოდ:

- ✓ ჩატარდა შრომის ბაზრის თვისობრივი კვლევა.;
- ✓ გადამზადდა პროგრამით მოსარგებლე სამუშაოს მაძიებლები;
- ✓ სწავლების პროცესში ჩართულ იქნა დამსაქმებლები;

- ✓ გადამზადდა და სტაჟირება გაიარა პროგრამის ბენეფიციარებმა, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფებიდან;
- ✓ ჩატარდა კვლევა განათლების სისტემაში LLEL-ის დასაწარმოებლად პოტენციური საჭიროებებისა და გამოწვევების გამოაშკარავების მიზნით;
- ✓ შემუშავდა სამუშაო გეგმა LLEL-ის განათლების სისტემის ყველა დონეზე დანერგვის მიზნით;
- ✓ შემუშავდა პროფესიული სტანდარტები მეწარმეთა მონაწილეობით;
- ✓ დაინერგა პროგრამები სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პრინციპით;
- ✓ შეიქმნა ფორუმი/პლათფორმა მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლის მიზნით;
- ✓ განხორციელდა ტექნიკური დახმარება სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში;
- ✓ განხორციელდა აქტივობები EFQM – წარმატების მოდელის პოპულარიზაციის მიზნით;
- ✓ მეწარმეების მომსახურების ცენტრში მეწარმეთათვის გაწეული იქნა სერვისები, ჩატარდა ლექციები/ სემინარები, ასევე გაწეული იქნა კონსულტაციები
- ✓ მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილე ქალთა რაოდენობამ 40% შეადგინა, ასევე ელექტრონულ კომერციაში დატრენინგებული 34 მეწარმიდან 28 ქალია
- ✓ შემუშავდა ტრენინგ პროგრამა რესურს ეფექტურ და სუფთა წარმოებასთან დაკავშირებით;
- ✓ გარემოსათვის მისაღებ ქმედებებთან დაკავშირებით ჩატარებულ იქნა კონსულტაციები/შეხვედრები;
- ✓ განხორციელდა გარემოსდაცვითი მმართველის (მენეჯერის) კურსების გავლის მსურველებისგან მიღებული მოთხოვნის 80%-ის დაკმაყოფილება.

➤ მეოთხე სტრატეგიული მიმართულება: „ექსპორტის წახალისება და მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია“.

- პირველი პრიორიტეტი: DCFTA-ის პერსპექტივების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულების განმახორციელებელია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ხოლო პარტნიორები „სავაჭრო სამრეწველო პალატა“, სსიპ „აწარმოე საქართველოში“, სსიპ „სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“ და სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სურსათის ეროვნული სააგენტო.

2017 წელს აქტიურად ხორციელდება ცნობადობის გაზრდის ღონისძიებები და მეწარმეთათვის ინფორმაციის მიწოდება ხარისხის ეროვნულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით (მეტროლოგია, სტანდარტები, აკრედიტაცია, შესაბამისობის შეფასება). შეიქმნა საკონსულტაციო ცენტრები DCFTA-ს საკითხებთან დაკავშირებით და DCFTA-ის პერსპექტივების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და ექსპორტის წახალისების მიზნით, ასევე ჩატარდა ღონისძიებები, კერძოდ 2016 წელს ჩატარდა ოთხი საერთაშორისო გამოფენა და ორი საერთაშორისო სავაჭრო მისია, ხოლო 2017 წელს ჩატარდა 6 საერთაშორისო გამოფენა, ორი ბიზნეს ფორუმი და ერთი სავაჭრო მისია. ასევე, კომპანიების საჭიროების შესაბამისად მოხდა ქართული პროდუქციის ცნობადობის ამაღლების მიზნით საერთაშორისო ღონისძიებების დაგეგმვა 2017- 2018 წლებისთვის.

სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში“ 2017 წლის მაისში დაიწყო ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროექტის (CIB) მესამე ეტაპი ტვინინგ პროექტი „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერა საქართველო-ევროკავშირის შორის DCFTA ვალდებულებების შემდგომი დანერგვისათვის“. ა.წ. 26 სექტემბერს გაიმართა აღნიშნული ტვინინგ პროექტის გახსნის კონფერენცია.

2017 წლის 2 თებერვალს ქ. თბილისში და 2017 წლის 20 აპრილს ქ.ბათუმში მეწარმეებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის ჩატარდა ცნობიერების ამაღლების სემინარი სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში. სემინარში მონაწილეობა მიიღეს პროექტის ფარგლებში მოწვეულმა ევროპელმა ექსპერტებმა და საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის და სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა.

2017 წლის მონაცემებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით და ევროკავშირის პროექტის "ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების ხელშეწყობა" დახმარებით, კერძო და საჯარო სექტორს შორის დიალოგის ფარგლებში, ადგილობრივ მეწარმეებთან და ფერმერებთან ჯამში გაიმართა 6 შეხვედრა ქ. გორში (21 თებერვალი), ქ. მცხეთაში (24 აპრილი), ქ. ზუგდიდსა, ქ. ოზურგეთში (23 ივნისი), აჭარაში, შუახევის მუნიციპალიტეტში (12 ივლისს) და სვანეთში (2 ოქტომბერი). შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 400-ზე მეტმა მეწარმე/ფერმერმა. შეხვედრებზე დეტალურად იქნა განხილული DCFTA-ით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროცესი და ამ პროცესთან დაკავშირებული გამოწვევები. ფერმერებს მიეწოდათ ინფორმაცია იმ საგრანტო პროგრამებსა და ხელშეწყობასთან დაკავშირებით, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს ადგილობრივ მეწარმეებს დანერგონ ევროპული სტანდარტები და მეტი სარგებელი მიიღონ

ევროკავშირთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული უმცირესობებისა და ოკუპირებული ხაზის გასწვრივ მცხოვრები მეწარმეებისა და მოსახლეობისათვის DCFTA-ს შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. 2017 წლის განმავლობაში უკვე გაიმართა 3 შეხვედრა მარნეულში, ახალქალაქსა და ზუგდიდში. შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 150-ზე მეტმა ადამიანმა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები ასევე ჩართულები არიან იმ ტრენინგების განხორციელებაში, რომლების ორგანიზებაც ხდება სსიპ-ის აწარმოე საქართველოში. ტრენინგების მიზანია მოახდინოს სსიპ - აწარმოე საქართველოში ბენეფიციარი კომპანიების ექსპორტის მენეჯერების გადამზადება, რაც საშუალებას მისცემს მათ მოახდინონ ექსპორტის ბაზრების დივერსიფიცირება. ჯამში განხორციელდა 20 მენეჯერის გადამზადება.

2017 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით/მონაწილეობით დაინტერესებულ პირთა ცნობიერების ამაღლების მიზნით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაიმართა 13 ღონისძიება/შეხვედრა.

- მეორე პრიორიტეტი: ქვეყანაში მეწარმეობის მხარდაჭერა DCFTA მოთხოვნებთან ადაპტაციაში.

2016 წლიდან მოყოლებული მიმდინარეობს მცირე და საშუალო საწარმოების ექსპორტის პოტენციალის ანალიზი სექტორულ კრილში, ასევე, შემუშავდა მხარდამჭერი ინსტრუმენტები (ტექნიკური, ფინანსური) და განხორციელდა შემუშავებული ღონისძიებები/ინსტრუმენტები. განხორციელდა ექსპორტის პოტენციალის მქონე დამატებითი სექტორების იდენტიფიცირება და დასრულდა მუშაობა სერვისების ექსპორტის ხელშეწყობაზე. 2017 წლის II კვარტალში მოხდა ექსპორტის პოტენციალის მქონე სექტორების იდენტიფიცირება და ასევე ექსპორტის მზაობის ტესტის მიხედვით მოხდა კომპანიების საჭიროებების და პრობლემების იდენტიფიცირება. ქმედებებს ახორციელებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მჭიდრო თანამშრომლობით სსიპ „აწარმოე საქართველოში“, ფინანსთა სამინისტროსთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სურსათის ეროვნული სააგენტოსთან, სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსთან და აკრედიტაციის ცენტრთან ერთად.

2016 წელს DCFTA მოთხოვნებთან ადაპტაციის კუთხით მხარდაჭერილ ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგინა 211 ბენეფიციარი, ხოლო 2017 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს **305** ბენეფიციარს.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ 2016 წლის დეკემბერში DCFTA საინფორმაციო ცენტრის 5 ოფისი გახსნა: **თბილისში, ქუთაისში, სიღნაღში, გორსა და ზუგდიდში**, ხოლო 2017 წელს საინფორმაციო ცენტრის ოფისი გახსნა **ბათუმში**. ცენტრის ოფისების მეშვეობით ბიზნესი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის კომპანიები იღებენ კვალიფიციურ ინფორმაციას DCFTA-თან დაკავშირებით. ასევე, ცენტრები ორგანიზებას უკეთებენ ტრენინგებს მეწარმეებისთვის საინტერესო თემებზე (განისაზღვრება მათი მოთხოვნის შესაბამისად).

პროექტის შედეგად გადამზადდა და დასაქმდა 5 გრძლევადიანი ექსპერტი, რომლებსაც უშუალოდ შეხება აქვთ მეწარმეებთან და აწვდიან მათ ამომწურავ ინფორმაციას ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ექსპერტებმა ინტენსიური კურსი გაიარეს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ სასწავლო ცენტრში, პარიზის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში, აგრეთვე, სხვადასხვა სახელმწიფო სააგენტოებში. ექსპერტების გადამზადების მიზანია, რომ მათ კვალიფიციური კონსულტაცია გაუწიონ მეწარმე სუბიექტებს ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოვებისა და პროდუქციის საექსპორტოდ მომზადების პროცესში.

2017 წლის საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- 150-მდე მეწარმემ მიიღო კონსულტაცია საინფორმაციო ცენტრის ოფისებში. კონსულტაციები ხორციელდებოდა პირისპირ შეხვედრებისას, ასევე, სატელეფონო და ელექტრონული კომუნიკაციით.
- ექსპერტებმა გამართეს 100-ზე მეტი შეხვედრა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 850-მა მეწარმემ;
- სხვადასხვა სექტორებში პრობლემებისა და საჭიროებების დადგენის მიზნით, ექსპერტებმა შეკრიბეს და დაამუშავეს ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც დაიგეგმა ტრენინგები მეწარმეებისათვის, ხელი შეუწყო სექტორული ასოციაციების ჩამოყალიბებას;
- 5 რეგიონში ჩატარდა 22 ტრენინგი, სადაც მონაწილეობდა 350 მეწარმე. ტრენინგების თემები განისაზღვრა მეწარმეთა ინტერესების შესაბამისად;
- ექსპერტებმა გამართეს 70 შეხვედრა სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც ჩართულნი არიან DCFTA იმპლემენტაციის პროცესში.
- ექსპერტებმა მონაწილეობა მიიღეს 18 სხვადასხვა ღონისძიებაში (ტრენინგი, სემინარი, პრეზენტაცია, მრგვალი მაგიდა), რომელთა თემებიც იყო: სურსათის უვნებლობის სააგენტოს ახალი პროგრამა, DCFTA-ს უპირატესობები ღვინის

ექსპორტიორებისთვის, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ფალსიფიკაციის პრევენცია და სხვ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით/მონაწილეობით კერძო სექტორის DCFTA მოთხოვნებთან ადაპტაციის მიზნით გაიმართა მეწარმეობის მხარდამჭერი 6 ღონისძიება.

2017 წლის I-III კვარტალში პროგრამის ფარგლებში ISO 22000-ის დანერგვის მიზნით გაფორმებულია 6 ახალი ხელშეკრულება;

ISO 22000 სერტიფიკატი მიიღო 4 საწარმომ. HACCP სერტიფიკატი მიიღო 2 საწარმომ.

- მესამე პრიორიტეტი: მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის სტიმულირება ქვეყანაში.

2017 წელს მიმდინარეობს აქტიური მუშაობა მეწარმეებისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე საექსპორტო ბაზრების მოთხოვნებთან (ტექნიკური მოთხოვნების ჩათვლით) დაკავშირებით, მარკეტინგის/პოპულარიზაციის შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავებაზე და მარკეტინგის/პოპულარიზაციის უნარების გაუმჯობესებაზე შერჩეულ საწარმოებში. შემსრულებელი არის სსიპ „აწარმოე საქართველოში“, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსთან და აკრედიტაციის ცენტრთან.

2016 წელს ბენეფიციართა რაოდენობამ, რომელთაც გაეწიათ მხარდამჭერა მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის სტიმულირების მიზნით 53 ბენეფიციარი შეადგინა, ხოლო 2017 წელს - 108 ბენეფიციარი.

- მეოთხე პრიორიტეტი: მეწარმეობის მხარდამჭერას საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დამყარებაში.

მიმდინარე წელს განხორციელდა EEN-ში მეწარმეთა მონაწილეობის ეფექტური მართვა. EEN-ში მეწარმეთა მონაწილეობის მიზნით მოხდა საინფორმაციო შემეცნებითი შეხვედრების ორგანიზება და ასევე, EEN-ის პლატფორმაზე ქართული კომპანიების პროფილის დარეგისტრირება. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ევროპის მეწარმეთა ქსელის 2 საინფორმაციო დღე საქართველოში, რომლის მიზანი იყო მცირე და საშუალო საწარმოებისა და დამწყები კომპანიების (სტარტაპები) წარმომადგენლებისთვის ევროპის

მეწარმეთა ქსელის შესაძლებლობების შესახებ ინფორმირება. კერძოდ, ევროპის ქვეყნებში არსებული პოლიტიკისა და ბიზნეს შესაძლებლობების შესახებ ინფორმირების და კონსულტაციის, ტექნოლოგიების გადაცემის პროცესში დახმარების, ფინანსებზე, კვლევის, განვითარებისა და ინოვაციების (R&D&I) ევროპულ პროგრამებზე წვდომის უზრუნველყოფის კუთხით ინფორმაციის მიწოდება. GIZ-ის მხარდაჭერით, „აწარმოე საქართველოში“ და „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“-ს თანამშრომლებმა გაიარეს სასწავლო, გაცნობითი ტური გერმანიაში, სადაც მოხდა ადგილობრივი ცოდნის, გამოცდილებისა და პრაქტიკული მაგალითების გაზიარება. „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“-ს მხარდაჭერით მოხდა 2 კომპანიის ბიზნეს წინადადების პროფილის განთავსება ევროპის მეწარმეთა ქსელის პლათფორმაზე. ასევე, თურქეთის მხარესთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საერთო „company mission“-ის ორგანიზების თაობაზე. „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“ ლიტვაში არსებულ EEN-ის წარმომადგენლთან ერთად თბილისში ორგანიზებულ აგრო გამოფენის თანაორგანიზატორი იყო 2017 წლის 20-22 ნოემბერს.

სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, გაფორმდა ორი საპარტნიორო შეთანხმება დაფნის ექსპორტთან და სამედიცინო სპეც-ტანსაცმლის იმპორტთან დაკავშირებით ქართულ კომპანიებსა და ევროპის მეწარმეთა ქსელში დარეგისტრირებულ კომპანიებს შორის. 2017 წელს ჩატარდა საქართველო - პოლონეთის ბიზნეს ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 23-მა ქართულმა და პოლონურმა კომპანიამ, აქედან ქართული არის 10 და 13 პოლონური. დარეგისტრირდა ერთი საპარტნიორო ბიზნეს შეთანხმება ქართული და პოლონური მხარეების ფრენჩაიზ პარტნიორობის საფუძველზე. ამასთანავე, მიმდინარე წლის ოქტომბერში ორმა ქართულმა კომპანიამ მონაწილეობა მიიღო გერმანიაში, ქ. კიოლნში ჩატარებულ პრე-ანუგა B2B საერთაშორისო ღონისძიებაში, რომელიც ევროპის მეწარმეთა ქსელში დარეგისტრირებულ კომპანიებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით იმართება. ასევე, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ და „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ“ უზრუნველყო საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წვდომა ევროპის მეწარმეთა ქსელის პორტალზე. 2017 წელს **EEN-ის პლატფორმაზე სულ სამი ქართული კომპანიის პროფილი დარეგისტრირდა.**

აქტივობის შემსრულებელია სსიპ „აწარმოე საქართველოში“, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

- მეხუთე პრიორიტეტი: ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (Responsible Business Conduct - RBC) პოპულარიზაცია.

2017 წელს, RBC-ის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდა, იდენტიფიცირებულ ადგილობრივ ორგანიზაციასთან - სამოქალაქო განვითარების საზოგადოებასთან

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აქტიური თანამშროლობა. კერძოდ, ჩატარდა ღონისძიებები სამეწარმეო სექტორში ცნობიერების ამაღლების და პოპულარიზაციის მიზნით.

2017 წელს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნომ, „სიდა“-მ, და სახალხო დამცველის აპარატმა, დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის ექსპერტებთან კონსულტაციით, მოამზადეს საბაზისო კვლევა ბიზნესისა და ადამიანის უფლებების მიმართულებით. ასევე, 2017 წლის ივნისიდან აგვისტოს ჩათვლით, განხორციელდა „სიდა“-სთან თანამშრომლობა მის მიერ ინიცირებული პროექტის თემაზე „ქალთა გაძლიერების ბიზნეს სექტორში“ რაც მიზნად ისახავს კომპანიებისათვის კონსულტაციისა და დახმარების გაწევას.

2017 წელს, ასევე განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობის პირების უფლებების წახალისება ბიზნეს სექტორში. ასევე, გაიხსნა დისკუსია „ბიზნესის პარტნიორობა გენდერულ თანასწორობაზე“, სადაც განიხილება ბიზნეს სექტორის აქტიურობა ქალთა გაძლიერების თემაზე.

2017 წლის სექტემბერში ჩატარდა ასევე მასტერკლასი თემაზე „შშმ პირების დასაქმება ბიზნეს სექტორში“ რომლის ორგანიზატორი იყო CSR კლუბი და ასევე, გაიმართა შეხვედრა სტუდენტებთან „ბიზნესი მდგრადი განვითარების მიზნებისთვის“

- მეექვსე ქვე-პრიორიტეტი: უცხოელ ინვესტორებსა და მცირე და საშუალო საწარმოებს შორის კავშირების დამყარების მხარდაჭერა (FDI-SMEs linkages).

2017 წელს განხორციელდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოთა/პოტენციურ უცხოელ ინვესტორთა და მცირე და საშუალო საწარმოთა ურთიერთდაკავშირების ხელშეწყობა. კერძოდ, ჩატარდა ქართველ და უცხოელ ბიზნესმენებს შორის ორმხრივი შეხვედრები. კერძოდ, 2016 წელს საინვესტიციო სააგენტო იყო ორგანიზატორი ბიზნეს ფორუმების და ჯამში ჩატარდა 11 ბიზნეს ფორუმი და 2017 წელს კი ჩატარდა ერთი ბიზნეს ფორუმი, სადაც დაახლოებით 60-მდე კომპანია იყო ჩართული. განისაზღვრა უცხოელ პოტენციურ ინვესტორ კომპანიათა რაოდენობა, რომელთაც გაეწიათ კონსულტაცია ადგილობრივ მცირე და საშუალო კომპანიებთან პარტნიორობის და მათ მით მიერ საქონლის/მომსახურების მიწოდების არსებული პოტენციალის თაობაზე. კერძოდ, 2017 წელს სსიპ "აწარმოე საქართველოში" ჩართული იყო ათამდე ქართული ბიზნესის წარმომადგენლის დაკავშირებაში პოტენციურ ინვესტორთან სხვადასხვა სექტორის მიმართულებით - წარმოება, უძრავი ქონება, სერვისის ექსპორტი, უმეტეს შემთხვევაში მოლაპარაკება წარმატებული

აღმოჩნდა. ასევე რამდენიმე ათეული უცხოური კომპანიისთვის და პოტენციური ინვესტორისთვის მოხდა ქართული კომპანიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მათი დაკავშირების მიზნით. სსიპ „აწარმოე საქართველოში“ და PricewaterhouseCoopers, Good Governance Fund-ის დაფინანსებით, დაიწყო უცხოელ ინვესტორებსა და მცირე და საშუალო საწარმოებს შორის კავშირების დამყარების მხარდაჭერი (FDI-SMEs linkages) პროექტის განხორციელება. აღნიშნული ქმედების კოორდინატორია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ხოლო შემსრულებელი სსიპ „აწარმოე საქართველოში“.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლინდა:

მეოთხე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 2017 წელს განსახორციელებელ 6 პრიორიტეტს და 27 ქმედებას, რომლებიც სრულად შესრულებულია.

2017 წელს შესრულდა მეოთხე სტრატეგიული მიმართულების შესაბამისი „შესრულების ინდიკატორები“. კერძოდ:

- ✓ შეიქმნა საკონსულტაციო ცენტრები DCFTA-ს საკითხებთან დაკავშირებით;
- ✓ DCFTA-ის პერსპექტივების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა შესაბამისი ღონისძიებები;
- ✓ DCFTA მოთხოვნებთან ადაპტაციის კუთხით მხარდაჭერილ იქნა 305 ბენეფიციარი;
- ✓ 108 ბენეფიციარს გაეწიათ მხარდაჭერა მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის სტიმულირების მიზნით
- ✓ EEN-ის პლატფორმაზე სამი ქართული კომპანიის პროფილი დარეგისტრირდა;
- ✓ ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (RBC) თაობაზე სამეწარმეო სექტორში ცნობიერების ამაღლების და პოპულარიზაციის მიზნით ჩატარებულ იქნა ღონისძიებები;
- ✓ უცხოელ პოტენციურ ინვესტორ კომპანიებს გაეწიათ კონსულტაცია ადგილობრივ მცირე და საშუალო კომპანიებთან პარტნიორობის და მათ მიერ საქონლის/მომსახურების მიწოდების არსებული პოტენციალის თაობაზე.

- მეხუთე სტრატეგიული მიმართულება „ინოვაციების და კვლევისა და განვითარების (R&D) მხარდაჭერა“

- პირველი პრიორიტეტი: მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციების სტიმულირება.

აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულება განხორციელდა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ. მიმდინარე წელს მოხდა ინოვაციური ბიზნეს-უნარების განვითარებისთვის **ტრენინგების** უზრუნველყოფა, ინოვაციების და R&D-ს წამახალისებელი ინსტრუმენტების შემუშავება და ინოვაციების და R&D-ს წამახალისებელი ინსტრუმენტების განხორციელება. ჩატარდა ინოვაციური ბიზნეს-უნარების განვითარებისთვის 5 ტრენინგი, შემუშავდა ინოვაციების და R&D-ს წამახალისებელი ინსტრუმენტები, ინოვაციური ბიზნეს-უნარების განვითარებისთვის ტრენინგების უზრუნველსაყოფად, ბიზნეს ინკუბატორის პროექტის ფარგლებში 19 გუნდისთვის ჩატარდა 40-მდე ტრენინგი და ვორკშოპი. ინოვაციების და R&D-ს წამახალისებელი ინსტრუმენტების შემუშავების და განხორციელების მიზნით, შეხვედრები მოეწყო საქართველოში არსებულ კერძო და სახელმწიფო სამეცნიერო კვლევითი მიმართულების დაწესებულებებთან. მათზე ევროკავშირის საგრანტო პროგრამებთან დაკავშირებით შესწავლილ იქნა საგრანტო პროექტებში მონაწილეობისათვის საჭირო ინსტრუმენტები (როგორებიცაა: „InnovFin“, „CORDIS“, „Idealist“, „Enterprise Europe Network“, „EUforBusiness- Credit Line“ და სხვა) და კონკრეტული მსვლელობების შესახებ მეცნიერთათვის გაიცა რეკომენდაციები. ასევე, „ევროკავშირის კვლევის და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის - ჰორიზონტი 2020“-ის და „ევროპის მეწარმეთა ქსელის - EEN“-ის საგრანტო და საინვესტიციო პროექტებთან დაკავშირებით, სააგენტომ პროექტ „East Invest 2“-ის მხარდაჭერით მოაწყო საინფორმაციო გაცნობითი დღეები, სადაც მოწვეულმა უცხოელმა ექსპერტებმა პრაქტიკული მაგალითების მეშვეობით ადგილობრივ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს მიაწოდეს მნიშვნელოვანი ინფორმაციები და გასცეს საგრანტო კონკურსისთვის საჭირო რეკომენდაციები.

- მეორე პრიორიტეტი: ინოვაციების და R&D დაფინანსების ეფექტიანი სქემების შემუშავება.

2017 წელს განხილულ იქნა 200-მდე საგრანტო პროექტი და დაფინანსებულია 60 პროექტი. შემუშავდა შემდეგი დაფინანსების სქემები: მიკრო გრანტების პროგრამა, პროგრამა სტარტაპ საქართველო და თანადაფინანსების გრანტების პროგრამა. მიკრო გრანტების პროგრამის ფარგლებში 2016-2017 წწ შემოვიდა 350 განაცხადი, დაფინანსდა 200-მდე ბენეფიციარი 5000 ლარის ოდენობის გრანტით. სტარტაპ საქართველოს პროგრამის ფარგლებში შეირჩა 50 მაღალტექნოლოგიური პროექტი და დაფინანსდა 20 სტარტაპი. ასევე, განხორციელდა თანადაფინანსების საგრანტო პროგრამის დიზაინის

შემუშავება. შემსრულებელია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო მჭიდრო პარტნიორობით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან.

- მესამე პრიორიტეტი: ინოვაციების და R&D-ს კომერციალიზაციის მხარდაჭერა.

2017 შემუშავდა ეროვნული ტექნოლოგიური გადაცემის ოფისის (NTTO) კონცეფცია. მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან ერთად შემუშავდა ტექნოლოგიების გადაცემის ეროვნული ოფისის (NTTO) საპილოტე პროექტის ინიცირების გეგმა/აქტივობები, რომლის განხორციელება დაგეგმილია 2018 წელს. აღნიშნულ ქმედებებს ახორციელებს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო.

- მეოთხე პრიორიტეტი: მეწარმეობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენების უნარების გაუმჯობესება.

2017 წელს ბიზნეს ინკუბატორის პროექტის ფარგლებში დატრენინგდა 10 გუნდის 70-მდე მონაწილე. რეგიონებში ფუნქციონირებად ინოვაციების ცენტრების და ზუგდიდის ტექნოპარკის ბაზაზე განხორციელდა სასწავლო პროგრამა - ინიციატივების მართვა, რომელიც გულისხმობს რეგიონებში ახალგაზრდების გააქტიურებას, მათ საერთო იდეის გარშემო გაერთიანებას, იდეების განხორციელების გზების და შემდეგ ეტაპზე ფონდების მოძიებას. ამ მიმართულებით ტრენინგი გაიარა 70-ზე მეტმა ახალგაზრდამ. რეგიონებში ფუნქციონირებად ინოვაციების ცენტრების და ზუგდიდის ტექნოპარკის ბაზაზე შესაძლებლობების და უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად ჩატარდა შემდეგი ტრენინგები:

- Little Beats-ის ვორქშოფი
- Code.org-ის ვორქშოფი
- Lego Robotics-ის ვორქშოფი
- როგორ მუშაობს ფაბ-ლაბი
- როგორ შევექმნათ სტარტაპი
- ინტელექტუალური საკუთრება
- რა არის ციფრული მარკეტინგი
- ტრენინგი: „ახალგაზრდები ინოვაციური განვითარებისთვის“, რომელიც მოიცავს პროგრამირებისა და კომპიუტერული დიზაინის საწყისი ეტაპების შესწავლას, სოციალური მედიის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობა მიიღო 1000-ზე მეტმა ბენეფიციარმა. ექსპორტზე ორიენტირებული ICT უნარების გაუმჯობესებისთვის 2016 წლიდან დღემდე გადამზადდა 200-მდე ბენეფიციარი.

აღნიშნული აქტივობების შემსრულებელია „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“, ხოლო პარტნიორი - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

- მეხუთე პრიორიტეტი: ინოვაციებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა (FabLab-ები; iLab-ები; TechPark; BroadBand for all კომპიუტერიზაციისთვის).

2017 წელს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მხარდაჭერით 14 პროფესიულ კოლეჯში გაიხსნა 14 სამრეწველო ლაბორატორია, კერძოდ, თითოეული კოლეჯის ბაზაზე თითო სამრეწველო ლაბორატორია, ანუ ჯამში 14 ლაბორატორია. ამ ეტაპზე გახსნილია და ფუნქციონირებს 22 სამრეწველო ლაბორატორია, 3 ინოვაციების ცენტრი და 2 ტექნოპარკი. სამრეწველო ლაბორატორიების გამოყენების მიზნით ჩატარდა ტრენინგები 300-მდე ბენეფიციარისთვის. ჩატარდა ინოვაციების ხელშემწყობი 23 კონკურსი (ჰაკათონი, ქრეათონი), მათ შორის 7 რეგიონში, მონაწილეობა მიიღო 800-ზე მეტმა მონაწილემ.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოვლინდა:

მეხუთე სტრატეგიული მიმართულება მოიცავს 5 პრიორიტეტს და 23 ქმედებას, რომელიც სრულად განხორციელდა.

2017 წელს შესრულდა მეხუთე სტრატეგიული მიმართულების შესაბამისი „შესრულების ინდიკატორები“. კერძოდ:

- ✓ შემუშავდა ინოვაციების და R&D-ს წამახალისებელი დამატებით 1 ინსტრუმენტი;
- ✓ განხილულია 200-ზე მეტი საგრანტო პროექტი და დაფინანსებულია 60 პროექტი;
- ✓ შემუშავდა ტექნოლოგიების გადაცემის ეროვნული ოფისის (NTTO) საპილოტე პროექტის ინიცირების გეგმა/აქტივობები;
- ✓ ინკუბატორის პროექტის 70-მდე მონაწილე და 10 ბენეფიციარი გუნდი;
- ✓ თბილისის ტექნოპარკის FabLab-ში განხორციელდა ტექნიკური ტრენინგები 20-მდე სპეციალისტისთვის, რომლებმაც გააგრძელეს მუშაობა 14 პროფესიული კოლეჯის ბაზაზე გახსნილ სამრეწველო ლაბორატორიებში;

- ✓ ოლიმპიადების, მეიქეტონების (make-a-thon) და ჰაკატონების (hack-a-thon) ფარგლებში ჩატარებულია 10-მდე ინოვაციების ხელშეწყობი კონკურსი 300-მდე მონაწილით.

სამოქმედო გეგმით 2017 წლისთვის ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

წინამდებარე სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში წარმოადგენს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცენტრალური აპარატის და სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების, ასევე სამოქმედო გეგმით კონკრეტულ აქტივობათა განმახორციელებელ უწყებათა მუშაობის შედეგად, შესაბამისი აქტივობების შესრულებას **2017 წლის მდგომარეობით**.

ანგარიში შემუშავებულია სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების/დეპარტამენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

დასკვნა

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელება ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ზრდას და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, რაც მნიშვნელოვანია როგორც დასაქმების ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის, ასევე, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე ადგილის დამკვიდრებისთვის.

საყურადღებოა, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნები (2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად საშუალოდ 10%-ით; 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 15%-ით; 2020 წლისთვის მწარმოებლურობის ზრდა 7%-ით, (საბაზისო - 2013 წელი)), „საქსტატის“ მონაცემების თანახმად, ამ ეტაპისთვის წარმატებით სრულდება. კერძოდ,

- ✓ 2014-2016 წლებში მცირე და საშუალო საწარმოთა გამოშვების საშუალო წლიური ზრდა 14.8%-ია;
- ✓ 2016 წ. მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 20.5%-ია.
- ✓ 2016 წ. მწარმოებლურობის ზრდამ 19.6% შეადგინა.

რეკომენდაციები

2016-2020 წლების საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში უფრო მეტად იქნას დაზუსტება ბიუჯეტირების კუთხით დონორთა დახმარების საჭიროებასთან მიმართებით, ასევე, მართებულია სამოქმედო გეგმა მოიცავდეს ინფორმაციას შესაძლო რისკების თაობაზე სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ აქტივობათა განხორციელებასთან მიმართებით.